პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 190 (5480)
1975 წ. 24 სექტემბერი, ოთხშაბათი.
ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან



ღირსეულად შევხვდეთ სკკპ
XXV
ყრილობას!

განვახორციელოთ
საქართველოს
კომუნისტური
პარტიის
ცენტრალური
კომიტეტის
XVIII პლენუმის
გადაწყვეტილებანი!

კომკავშირელთა თაოსნობით

— ენერგიული შრომისა და ხალისიანი დასვენებისთვის ფიზკულტურასა და სპორტზე უკეთესი რა იქნება! ამაში ღრმად ვართ დარწმუნებული და ახლა ყველგან, ყველა ბრიგადაში და უბანზე ამისთვის სათანადო პირობების შექმნაა ჩვენი მიზანი, — გვითხრა თერჯოლის რაიონის რუფოთის საბჭოთა მეურნეობის კომკავშირული ორგანიზაციის მდივანმა ნ. კაკოიშვილმა.

მეცხოველეობა ამ მეურნეობაში ერთ-ერთი ძირითადი დარგია. ახალგაზრდები სიამოვნებით მოდიან სამუშაოდ, რადგან კეთილმოწყობილ ფერმაში შრომის საუცხოო პირობებია. თავისუფალ დროს მეცხოველეებს ყოველთვის შეხვდებით წითელ კუთხეში. აქ ისინი თამაშობენ ჭადრაკს, შაშს, კითხულობენ ახალ ჟურნალ-გაზეთებს. იქვე მინდორზე მოუწყვიათ ფრენბურთის მოედანი და თითქმის ყოველ საღამოს აბიბინებულ მდელოზე სპორტული შეჯიბრებაა გაჩაღებული. მეურნეობის დირექტორი ვ. ღიაკონიძე ზრუნვას არ აკლებს მეცხოველეებს.

მწყემსი მირიან ბუცხრიკიძე შესანიშნავი მოჭადრაკე და მომშეა. იგი სისტემატურად მონაწილეობს სარაიონო პირველობებში.

თავისუფალ დროს სპორტს უძღვნიან და მომავალ წარმატებებზე ოცნებობენ ახალგაზრდა მწველავები ნაზი დვალი, ნათელა მემარნიშვილი, მწყემსი ამირან გოგბერაშვილი...

გავეცანით რუფოთელ მეცხოველეთა მომავლის გეგმებსაც. მალე ფერმაში დაინერგება კიდევ ერთი სახეობა — მაგიდის ჩოგბურთი, მოაწყობენ კომპლექსურ სპორტულ მოედანს მძლეოსნური ბილიკებითა და სექტორებით, ორგანიზებულ და სისტემატურ ვარჯიშს შეუდგება მშდ კომპლექსის მოსამზადებელი ჯგუფი. ამ თაოსნობას, რომლის მთავარი მიზანია მეცხოველეთა შრომისნაყოფიერების ზრდა, ფერმაში სამუშაოდ ახალგაზრდების მიზიდვა და თავისუფალი დროის გონივრულად გამოყენება, მეურნეობის კომკავშირული ორგანიზაცია ჩაუდგა სათავეში.

სიტყვას საქმედ ვაქცევთ! — ასეთია რუფოთელ მეცხოველეთა პასუხი საქართველოს კომუნისტური პარტიის XVIII პლენუმის გადაწყვეტილებებზე.

თ. ჭეველი.
(ჩვენი სპეც. კორ.).

სოფ. რუფოთი,
თერჯოლის რაიონი.

„მოსაწყენად სად გვცალია"

მოწინავე მეცხოველეებსა და სპორტსმენებს ჩვენ ვერ შევხვდით — ზაფხულის მაღალმთიანი საძოვრებიდან ჯერ კიდევ არ იყვნენ დაბრუნებული, მაგრამ შრომასა და სპორტში მათს სასახელო საქმეებზე სიამაყით გვესაუბრნენ შინ დარჩენილნი.

ასპინძის რაიონის სოფელ ნაქალაქევის „პრავდის" სახელობის კოლმეურნეობაში ძირითადი დარგი მეცხოველეობაა. ამიტომ, ცხადია, აქაური მშრომელებისა და, მაშასადამე, ფიზკულტურელების უმეტესობას მეცხოველეები შეადგენენ. მეცხოველის შრომა და ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობა ამ კოლმეურნეობაში დიდი ხანია მხარდამხარ მიაბიჯებენ. თურმე სხვაგვარად არც შეიძლება. როგორც კოლმეურნეობის ბუღალტერმა პ. ოთანაძემ შენიშნა, მომთაბარე მეცხოველეობაში დასაქმებულ ადამიანებს ათასი საფრთხე და დაბრკოლება ელით. სიძნელეების დაძლევა, რაც ბევრჯერ სახალხო დოვლათის გადარჩენასთანაცაა დაკავშირებული, ამტანობაზე, გამძლეობაზე, შექმნილ ვითარებაში სწორი გადაწყვეტილების სწრაფად მიღებაზე, სისწრაფეზე და ძალაზეცაა დამოკიდებული.

აი, რატომ ექცევა ესოდენ დიდი ყურადღება მეცხოველე კოლმეურნეთა ფიზიკურ წრთობას.

რჩეულთა შორის რჩეულნი რაიონის პირველობებშიც გამოდიან. პ. ბერიძე, მაგალითად, კარგად ტყორცნის ბადროს, მ. მაისურაძე მრავალმხრივი ძალოსანია, სპორტის ოსტატი ძალოსნობაში ზ. მაღრაძე ამჟამად სამხედრო სავალდებულო სამსახურშია.

ესტაფეტას ახალგაზრდობა ერთმანეთს გადასცემს — საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ მეცხოველეთა ფიზკულტურულ კოლექტივს შეემატა ორი ფრენბურთელი ქალიშვილი — ნ. ოთანაძე და ზ. მაისურაძე.

მეცხოველეებს მუდამ მხარში უდგას საშუალო სკოლის ფიზკულტურის მასწავლებელი ი. ბერიძე. მოსწავლეები და მეცხოველეები ხშირად გამოდიან რაიონულ შეჯიბრებებში. ზედა თმოგვის, დანიეთისა და ოუმელიშის მაღალმთიან საძოვრებზე მეცხოველეებს კეთილმოწყობილი ბინების გვერდით მარტივი ტიპის სპორტული ბაზებიც აქვთ. თავისუფალ დროს, რომელიც საძოვრებზე ნახირს გაყოლილ კოლმეურნეებს საკმაოდ აქვთ, სპორტულ პაექრობებში ატარებენ. შინიდან მიღებულ წერილებზე ამიტომაც უპასუხებენ ხოლმე, მოსაწყენად სად გვცალიაო, და ჩამოთვლიან, როგორ ეჯიბრებიან ერთმანეთს ნაბადზე გადახტომაში, ხელყუმბარის ტყორცნაში, ბირთვის კვრაში, სროლაში, ბაგირის გადამალვაში... ცხადია, შინ დაბრუნებულ მეცხოველეებს ალარ უჭირთ სოფლის სპორტსმენთა რაიონულ პირველობებში წარმატების მიღწევა.

სამთო მეცხოველეობას შემდგომ აღმავლობას, რაც საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ამასწინანდელმა პლენუმმა დაგვისახა მიზნად, ფიზიკურად ძლიერი და მხნე ადამიანების გარჯა სჭირდება. რესპუბლიკის მეცხოველეებმა უთუოდ უნდა მიჰბაძონ ასპინძელ კოლეგებს, რათა ღირსეულად შეხვდნენ სკკპ XXV ყრილობას.

თ. თომაშვილი.
(ჩვენი სპეც. კორ.).

სოფ. ნაქალაქევი,
ასპინძის რაიონი.

ხრისტოვმა ყველა მოხიბლა

მოსკოვი, 23 სექტემბერი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონატის მერვე დღე, როცა მძიმე წონის (110 კგ) ძალოსნები ასპარეზობდნენ, ერთობ მდიდარი გამოდგა მსოფლიო რეკორდებით. რეკორდები ჯერ კიდევ დღისით დამყარდა, როცა შედარებით „სუსტი" ძალოსნები ასპარეზობდნენ. უკონკურსოდ გამოვიდა თემირთაუელი ი. ზაიცევი, რომელმაც 235 კგ აჰკრა და ორჭიდის ჯამში 407,5 კგ დააგროვა. ორივე ეს შედეგი ბულგარელი ვ. ხრისტოვის მსოფლიო რეკორდებს აღემატებოდა. პირველი ასეც ჩაითვალა, მაგრამ ორჭიდის ჯამი მსოფლიო რეკორდად ვერ აღირიცხა, ვინაიდან ზაიცევი უკონკურსოდ ასპარეზობდა.

საღამოს კი ბრძოლაში ჩაებნენ უძლიერესი ათლეტები, მათ შორის 19 წლის ხრისტოვი და სსრ კავშირის ხალხთა VI სპარტაკიადის ჩემპიონი, ალმაათელი ვ. მაქეიკოვი.

ხრისტოვი საოცრად ლაღად ასპარეზობდა. შთაბეჭდილება ისეთი იყო, თითქოს იგი ამ უზარმაზარ წონას კი არ ძლევდა, არამედ მსუბუქად ვარჯიშობდა. ასეთივე შთაბეჭდილება დატოვა მან ატაცში ასპარეზობისას — შესაბამისად დაძლია 170, 175 და 180 კგ. ეს უკანასკნელი შედეგი მისსავე მსოფლიო რეკორდზე 2 კილოგრამით მეტია. მაქეიკოვმა მხოლოდ 170 კგ დაძლია და ვერცხლის მცირე მედალს დასჯერდა.

აკვრაში შეჯიბრება ხრისტოვმა 220 კილოგრამით დაიწყო, შემდეგ კი 230 კგ მოითხოვა. ეს წონაც ისე იოლად დაძლია ბულგარელმა, რომ დარწმუნებული ვიყავით, იგი ამას არ დასჯერდებოდა. ორჭიდის ჯამში მას უკვე 410 კგ ჰქონდა, რაც მისსავე მსოფლიო რეკორდს 5 კილოგრამით სჭარბობდა.

ხრისტოვმა მესამე ცდაზე 237,5 კგ მოითხოვა, ეს უკვე 7,5 კილოგრამით მეტი იყო მისსავე მსოფლიო რეკორდზე. ათლეტს ეს წონაც დამორჩილდა. ორჭიდის ჯამში 417,5 კილოგრამის მოგროვებით მან უკვე მეოთხე მსოფლიო რეკორდი დაამყარა. ბულგარელი არც ამას დასჯერდა და უკვე ზემძიმე წონაში ვ. ალექსეევის მსოფლიო რეკორდს შეუტია აკვრაში. მან 245,5 მოითხოვა, მაგრამ ამჯერად წონა არ დამორჩილდა.

— მოსკოვში მე დავამთავრე ჩემი სპორტული ხუთწლედი, ვინაიდან პირველად ძალოსნურ სარბიელზე 1970 წლის 15 სექტემბერს შევდგი ფეხი, სოფიის მახლობლად მდებარე ჩემს მშობლიურ ქალაქ პერნიკის დარბაზში, — თქვა შეჯიბრების დამთავრების შემდეგ ხრისტოვმა. — მაშინ ჩემი შედეგები ერთობ მოკრძალებული იყო: აჭიმვა — 65 კგ, ატაცი — 70, აკვრა — 90.

— თქვენ უკმაყოფილო ჩანდით, როცა 245,5 კილოგრამი ვერ დაძლიეთ. ეს ხომ მსოფლიო რეკორდი იქნებოდა ზემძიმე წონის ათლეტთათვის? — ჰკითხეს ჟურნალისტებმა.

— მე მივეჩვიე, რომ მკერდზე ატანილი შტანგა უკვე დაძლეულია. აქ კი მან გადამძლია და წინ წავიდა.

— თქვენ ისე ლაპარაკობთ შტანგაზე, როგორც ცოცხალ არსებაზე.

— რა თქმა უნდა, მასაც თავისი ხასიათი აქვს. და მაინც, მე დავძლევ ამ წონას.

— რა თვისებები მიგაჩნიათ ძალოსნისთვის უმთავრესად?

— ნებისყოფა და სიმამაცე.

— თქვენი გეგმები?

— მინდა ოლიმპიურ თამაშებში გამოვიდე. გამარჯვებულის ჯამი 10-15 კილოგრამით მეტი იქნება, ვიდრე დღევანდელი ჩემი მაჩვენებელი.

— ისევ ამ წონაში გამოხვალთ, თუ მოიმატებთ?

— წონის მომატებას არ ვაპირებ.

— ვინ არის თქვენი იდეალი სპორტში?

— იური ვლასოვი.

— რა იგრძენით, როცა ზაიცევის მსოფლიო რეკორდის შესახებ გაიგეთ?

— მწვრთნელებმა დამიმალეს, მაგრამ მე ვიცოდი ეს, რამაც მხოლოდ გამიღვივა სპორტული ჟინი.

— როგორია თქვენი მომავლის გეგმები?

— მინდა სპორტული ჟურნალისტი გავხდე.

რვა წონითი კატეგორიის ძალოსანთა ასპარეზობის შემდეგ კვლავ წინ არიან საბჭოთა სპორტსმენები — 78 ქულა (იასპარეზა 8 მონაწილემ). II ადგილზე გადაინაცვლეს ბულგარელებმა — 70 (8), III — პოლონელებმა — 62 (9). მომდევნო ადგილებზე არიან უნგრელები — 48 (9), გდრ-ის ძალოსნები — 39 (5), ჩეხოსლოვაკიის წარმომადგენლები — 26 (7). დანარჩენი გუნდების მდგომარეობა, რომლებმაც ჩასათვლელი ქულები მიიღეს, ასეთია: იაპონია — 23 (9), გფრ — 21 (9), ფინეთი — 13 (6), საბერძნეთი — 9 (7), აშშ — 7 (4).

დღეს, შეჯიბრების დასკვნით დღეს, იასპარეზებენ ზემძიმე წონის ათლეტები, რომელთა შორის საყოველთაო ინტერესს იწვევს მსოფლიო ჩემპიონისა და რეკორდსმენის, საბჭოთა ძალოსან ვ. ალექსეევისა და მსოფლიო რეკორდსმენის, ბულგარელი ხ. პლაჩკოვის ორთაბრძოლა.

დ. კაპცოვი,
საკავშირო კატეგორიის მსაჯი.

ტექნიკური შედეგები

110 კგ. ორჭიდი. 1. ვ. ხრისტოვი (ბულგარეთი) — 417,5 (180+237,5), 2. ვ. მაქეიკოვი (სსრ კავშირი) — 390 (170+220), 3. ი. ციცკე (გდრ) — 390 (170+220). **ატაცი.** 1. ხრისტოვი — 180, 2. მაქეიკოვი — 170, 3. ციცკე — 170; **აკვრა.** 1. ხრისტოვი — 237,5, 2. მაქეიკოვი — 220, 3. ციცკე — 220.

• • •

სურათებზე: ზევით — მსოფლიო ჩემპიონი საშუალო წონაში ვ. შარიი; ქვევით — მსოფლიო ჩემპიონი ქვემძიმე წონაში დ. რიგერტი (ორივე — სსრ კავშირი).

საკდესისა და ე. ვოლკოვის („ტრუდი") ფოტოები.

ვინ არის დამნაშავე?

ხულოს რაიონის სპორტკომიტეტის თავმჯდომარე რ. აბულაძე წუხდა, ორ დღეში ბათუმში მშდ კომპლექსის მრავალჭიდში „კომსომოლსკაია პრავდის" პრიზზე ზონალური პირველობა იწყება და გუნდის დაკომპლექტება ვერ შევძელიო.

სასწავლო წელი ახალი დაწყებული იყო. რაიონის გოგონებმა და ჭაბუკებმა ის-ის იყო შეაღეს მშობლიური სასწავლებლის კარი, რომ მშდ კომპლექსის მრავალჭიდში შეჯიბრების სტარტიც მოახლოვდა. სპორტკომიტეტის თავმჯდომარეს ბათუმში ხულოელ მოსწავლეთა მივლინებაზე ცივი უარი უთხრეს. საქმეს ვერც აქ, სასკოლო მშენებლობის საქმეზე ჩამოსულმა აჭარის ასსრ განათლების მინისტრმა ვ. წულუკიძემ უშველა.

ეს საკითხი ჩემთან არავის შეუთანხმებიაო, იყო მინისტრის პასუხი.

მშდ კომპლექსის მრავალჭიდში ზონალური პირველობას დებულება, რომელიც დაამტკიცეს საქართველოს კომკავშირის აჭარის საოლქო კომიტეტმა და სპორტკომიტეტმა, კარგა ხნის წინათ დაეგზავნათ შესაბამის ორგანიზაციებს. ამიტომ ყველასთვის ცნობილი იყო ამ ღონისძიების ჩატარების დრო და ადგილი.

მაშ რატომ მოუჭრეს ბათუმში წასასვლელი გზა ხულოელ მოსწავლეებს? ვინ არის დამნაშავე, ამ რაიონის არც ერთი მოსწავლე ბათუმის სტარტზე რომ არ გამოსულა?

უკეთეს მდგომარეობაში არც ქედის რაიონის ფიზკულტურისა და სპორტის მესვეურები იყვნენ. მათაც დიდი დაბრკოლება შეხვდათ ბათუმში მოსწავლეთა სპორტული დელეგაციის გაგზავნაში.

ქედის რაიონის სპორტკომიტეტში საშუალო და რვაწლიანი სკოლებიდან შეკითხვებსა და სკოლის დირექტორების სტუმრობას ბოლო არ უჩანდა. ყველას აინტერესებდა, ჰქონდათ თუ არა უფლება აქაური სკოლების მოსწავლეებს ბათუმში გამართულ ზონალურ პირველობაში გამოსულიყვნენ.

ამ უჩვეულო შემთხვევების შესახებ ალბათ შესაბამისი ორგანოები იმსჯელებენ. მანამდე კი გადავხედოთ ქედის რაიონის ფიზკულტურელთა ცხოვრებას, ვნახოთ, რა წვლილი შეაქვთ ამ რაიონის ახალგაზრდებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სპორტის განვითარებაში.

სტატისტიკური მონაცემებით, რაიონში 3901 ფიზკულტურელია. წინა წლებში, როცა მრეწველობის, სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგში და, საუბედუროდ, ფიზკულტურასა და სპორტშიც ციფრების ხელოვნურად გაზრდა „მოდაში" იყო, ქედის რაიონში ფიზკულტურელთა რიცხვი 5 ათასს აჭარბებდა. აქ სიებში ისეთი ადამიანები ჰყავდათ დასახელებული, რომლებსაც ფიზკულტურასა და სპორტთან კავშირი კი არა, ამ დარგზე ელემენტარული წარმოდგენაც არ ჰქონდათ.

ჩვენში ნეგატიურ მოვლენათა წინააღმდეგ გამოცხადებულმა დაუნდობელმა ბრძოლამ ფიზკულტურასა და სპორტზეც მოახდინა თავისი კეთილი გავლენა. ფიზკულტურელთა სიებში დარჩნენ ის ახალგაზრდები, რომლებიც მართლაც ახლოს იყვნენ ამ დარგთან, მეცადინეობდნენ სპორტის სახეობათა სექციებში, მონაწილეობდნენ შეჯიბრებებში.

ქედის რაიონის ახალგაზრდობას განსაკუთრებით იტაცებს სპორტთამაშობები — ფეხბურთი, კალათბურთი, ფრენბურთი, აგრეთვე, ჭიდაობა. აქაური მოჭიდავეები პირველნი არიან აჭარაში, მესამენი — „კოლმეურნის" ცენტრალური საბჭოს ხაზით, სადაც მათ მხოლოდ აფხაზეთისა და მახარაძის ნაკრებმა გუნდებმა გაუსწრეს. წარმატებას აღწევენ ხელბურთელები. აჭარის ნაკრებში გამოდიან ქედელები ო. ტაკიძე, ნ. გორგაძე, ზ. ნაკაშიძე. ქართულ ჭიდაობაში აჭარის ჩემპიონია „კოლმეურნის" რაისაბჭოს თავმჯდომარე ი. არძენაძე. აჭარის საოლქო სპარტაკიადაში კარგი თამაშით თავი გამოიჩინეს კალათბუ-

(დასასრული მე-4 გვ.).

საბჭოთა ფიზიკური კულტურის საწყისები საქართველოში

გიორგი ეგნატაშვილი

ვაჟები შეცვალეს ქალებმა, რომლებმაც შეასრულეს ვარჯიში ნაირსიმაღლის ორძელზე, რგოლებზე ადგილზე და ქანში. ზეიმის დასასრულს მოეწყო საერთო პირამიდა, რომელშიც ყველა მოსწავლე მონაწილეობდა. ზეიმს ესწრებოდნენ ბათუმელი სტუმრები ამ ქალაქის „შევარდენის" უფროსის ვ. კოუბის ხელმძღვანელობით.

ტანვარჯიშული საზოგადოების სპორტული მოღვაწეობა მარტო ამ სახეობით როდი ამოიწურებოდა. აქ მეცადინეობდნენ ფარიკაობაში, მძლეოსნობის ცალკეულ სახეობებში. საზოგადოების ზოგიერთი წევრი ტანვარჯიშთან ერთად მეცადინეობდა ქართულ და ფრანგულ ჭიდაობაში, სატრეკო ველოსპორტში, ფეხბურთში.

საზოგადოების 1912 წლის მუშაობის ანგარიშში ნათქვამია, რომ ფეხბურთით ახალგაზრდობის სულ უფრო მეტი დაინტერესების გამო ამ თამაშში კვირაში ორჯერადი მეცადინეობა შემოუღიათ. საზოგადოებას კარგი გუნდიც ჰყოლია. თბილისის „შევარდენი" ბაქოდან ჩამოსულ ინგლისის საფეხბურთო კლუბს შეხვედრია. მატჩი ინგლისელებს მოუგიათ ანგარიშით 5:4. თბილისის გუნდი მთლიანი შემადგენლობით არ გამოსულა სარბიელზე. მისი მოწინავე მოთამაშეები მ. მოხოვი, ბ. გონელი, გ. ეგნატაშვილი და ფ. ნოვაკი VI სლავური „სოკოლის" შეკრებისთვის ემზადებოდნენ.

ამავე პერიოდში, გარდა ტანვარჯიშული საზოგადოებისა, ქალაქში იყო ათლეტური წრე, რომელსაც ამ სახეობის დიდი მოყვარული და ენთუზიასტი პ. მარლანიძე ხელმძღვანელობდა. დაიქირავეს შენობა ბელინსკის ქუჩაზე, სადაც ტარდებოდა მეცადინეობები ფრანგულ ჭიდაობაში, ინგლისურ კრივში, სიმძიმეების აწევაში. წრე არსებობდა, როგორც დამოუკიდებელი ორგანიზაცია და „შევარდენის" ჩამოყალიბების შემდეგ მის შემადგენლობაში შევიდა. წრის აქტიური წევრები იყვნენ ა. აბრამოვი, ს. გელაძე, ნ. რუსიშვილი, ქიტიაშვილი, ხალათიანი, ზარემბა, გურსკი და სხვ. აბრამოვი და გელაძე შემდგომაც განაგრძობდნენ ნაყოფიერ მუშაობას საბჭოთა ათლეტური სკოლის განვითარებისთვის.

1912 წელი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო თბილისის „შევარდენისთვის". ჯერ ერთი, შესრულდა 15 წელი საზოგადოების დაარსებიდან; მეორეც, მოეწყო პირველი საერთაშორისო მატჩი ფეხბურთში თბილისის „შევარდენსა" და ბაქოს ინგლისურ კლუბს შორის; მესამეც, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, თბილისის „შევარდენმა" მიიღო მონაწილეობა პრაღაში გამართულ საიუბილეო შეკრებაში, რომელიც ჩეხეთში ამ საზოგადოების დაარსების 50 წლისთავს მიეძღვნა. სწორედ ამ ამბავზე გვინდა უფრო დაწვრილებით შევჩერდეთ.

თბილისის საზოგადოების ხელმძღვანელობამ თავის დროზე აცნობა რუსული „სოკოლის" კავშირს, რომ სურდა მონაწილეობა მიეღო ამ ზეიმში. ამავე დროს, იგივე სურვილი ეცნობა ჩეხური „სოკოლის" კავშირსაც, საიდანაც დაუყოვნებლივ მოვიდა მიწვევა და შეკრების პროგრამა.

თავდაპირველად გ. ეგნატაშვილს უმაღლეს ჯგუფში სასპარეზოდ მოუვიდა მიწვევა. სულ შეკრებაზე მიწვეული იყო ოცი კაცი, ექვსი — ჯგუფურ ვარჯიშებში, სამი — პირად შეჯიბრებაში.

საზოგადოების გამგეობის გადაწყვეტილებით, გუნდური შეჯიბრების მონაწილე დაბალ ჯგუფში შედიოდნენ ი. ვახეკი — ჯგუფის ხელმძღვანელი, ი. კაშოიანი, ფ. ნოვაკი, გ. ბერელაშვილი, რომელიც იმ წელიწადს ჩამოვიდა მოსკოვიდან (მოსკოვის მეორე „სოკოლში" იგი არ ჩარიცხეს ეროვნების გამო), ი. გოშტოფტი და ქ. ურიმაგოვი. ეგნატაშვილმა კი უმაღლესი თანრიგის პროგრამით დაიწყო მზადება.

ჯგუფი მეცადინეობდა კვირაში ოთხხუთჯერ, ზოგჯერ კი დღეში ორჯერაც. დიდი ყურადღება ეთმობოდა საერთო ფიზიკურ მომზადებას, კროსებს, ცურვას, ბირთვისა და კუბის კვრას, მაგრამ მთავარი, რა თქმა უნდა, ტანვარჯიშული იარაღები იყო.

შეკრებაზე გამგზავრებამდე სამი თვით ადრე ვახეკმა განაცხადა: გუნდის ხელმძღვანელობაზე და მონაწილეობაზე უარს ვამბობ, მე უმაღლეს ჯგუფში გამოვდივარო. სკოლის ხელმძღვანელობამ ჯგუფის ხელმძღვანელობა ეგნატაშვილს დააკისრა, მაგრამ უფლება მისცა უმაღლეს ჯგუფში გამოსულიყო, გუნდი კი სათადარიგო ტანმოვარჯიშეთაგან შეევსო. ეგნატაშვილმა, რაკი ხედავდა გუნდში შექმნილ სერიოზულ მდგომარეობას, გადაწყვიტა უარი ეთქვა უმაღლეს ჯგუფში გამოსვლაზე და საერთო ინტერესების დასაცავად გუნდის ღირსებისთვის ებრძოლა. მას ხელახლა დასჭირდა გუნდური ვარჯიშების ზესწავლა და გუნდის წვრთნის რეჟიმში ცვლილებების შეტანა.

საზოგადოების 1912 წლის ანგარიშში ვკითხულობთ: „შეჯიბრებისთვის თბილისის „სოკოლი" უაღრესად სერიოზულად ემზადებოდა. მიუხედავად დაბრკოლებებისა, მიუხედავად დიდი ხარჯისა, რაც ჩვენს ტანმოვარჯიშეებს უნდა გაეწიათ პრაღაში 26 დღით გასამგზავრებლად, მით უმეტეს, რომ რუსული „სოკოლის" კავშირის გამგეობამ შეღავათიანი ბილეთები გვიან გამოგზავნა და მათ რკინიგზაზე შეღავათიანი მგზავრობის უფლებით ვეღარ ისარგებლეს, თბილისის „სოკოლმა" მაინც მიიღო მონაწილეობა შეკრებაში 20 კაცის შემადგენლობით. სახელდობრ: საზეიმო სვლაში — ცამეტი მონაწილე, საერთო მასობრივ ვარჯიშებში — ათი ტანმოვარჯიშე. რუსული „სოკოლის" საერთო ვარჯიშებში გრძელი ჭოკებით გამოდიოდა ერთი ხუთეული, დაბალი შემადგენლობის ჯგუფების შეჯიბრებაში — ერთი ექვსკაციანი ჯგუფი ძმა გ. ეგნატაშვილის ხელმძღვანელობით. გარდა ამისა, სამი ძმა მონაწილეობდა იმავე განყოფილებაში, როგორც ცალკე ტანმოვარჯიშეები. ძმა ეგნატაშვილმა მიიღო მონაწილეობა ექვსჭიდში და სიმაღლეზე ხტომაში, ძმა მ. მოხოვმა — 300 მეტრზე რბენაში და II ადგილი დაიკავა. გარდა ამისა, რვაკაციანი ჯგუფი მონაწილეობდა ბაგირის გადაძალვაში".

პრაღაში მიმავალი თბილისელი ტანმოვარჯიშეები შეჩერდნენ თბილისის „სოკოლის" ხელმძღვანელის ა. ლუკეშის სამშობლოში ჩეშსკი ბროდში, სადაც საშუალება ჰქონდათ გამგზავრების წინ ოთხი დღის განმავლობაში ევარჯიშათ. პრაღაში შეკრების დამთავრების შემდეგ ისინი სტუმრებად მოიწვიეს ჩეშსკი ბროდში. კავკასიიდან ჩასული სტუმრების პატივსაცემად ადგილობრივმა ტანმოვარჯიშეებმა გრანდიოზული საღამო მოაწყვეს: თბილისელებმა მეგობრობის აღსანიშნავად მასპინძლებს ორი ვერცხლით მოჭედილი ყანწი მიართვეს.

ჩეშსკი ბროდის ტანმოვარჯიშეებთან შეხვედრამ წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა. მეექვსე შეკრებაზე დაბალ ჯგუფში მსაჯად და შეჯიბრების ხელმძღვანელად ლუკეში იყო დანიშნული.

თბილისელ ტანმოვარჯიშეთა შრომას უქმად არ ჩაუვლია. ჯგუფმა 311 მონაწილეში I ადგილი დაიკავა და 500 შესაძლებლიდან დააგროვა 465,12 ქულა, ესე იგი 93,02 პროცენტი. ამის შედეგად ჩვენებს ხვდათ პირველი პრიზი, ცაცხვის გვირგვინი ეროვნული ლენტით, ვერცხლის სოკოლური მონოგრამით და დიდი დიპლომები, სადაც აღნიშნული იყო ასპარეზობის შედეგები.

შეჯიბრებაში 2241 კაცი მონაწილეობდა. თბილისელ ტანმოვარჯიშეთა შედეგები ასეთი იყო: ეგნატაშვილი — მე-3 ადგილი (80 შესაძლებლიდან 77 ქულა); კაშოიანი — მე-9 ადგილი (76,50), ნოვაკი — 29-ე (75), ბერელაშვილი — 44-ე (74,50), გოშტაფტი — 59-ე (74), ურიმაგოვი — 287-ე (69). ყველამ მიიღო გუნდური პირველი პრიზი და დიდი დიპლომი.

ერთეულ ტანმოვარჯიშეთაგან იმავე შეჯიბრებაში გამოირჩეოდნენ ს. ნანიაშვილი — 122-ე ადგილი (72 ქულა), მოხოვი — 277-ე (70), გონელი — 813-ე (63).

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ VI შეკრებაში რუსეთის 10 ქალაქის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ. სულ გამოდიოდა 97 კაცი: ხუთჭიდში — 26 კაცი, მძლეოსნობის ცალკეულ სახეობებში — 42, ცურვაში — 3, ფარიკაობაში — 1 და სხვ. საქართველოში აღზრდილი სპორტსმენები იყვნენ პეტერბურგის გუნდშიც: გ. ნიკოლაძე, ა. კიზირია, ძმები ბენიამინ და ბორის ერგარტები, რ. მირიმანოვი.

რუსეთის გუნდებმა ადგილები ასე გაანაწილეს: თბილისის „სოკოლი" — I ადგილი, ხარკოვი — IV, კიევი — XI, ეკატერინოსლავი — XV, მოსკოვის მეოთხე „სოკოლი" — XVI, პეტერბურგის პირველი „სოკოლი" — 38-ე, მოსკოვის მესამე „სოკოლი" — 41-ე, ოდესა — 55-ე, ჩერნიგოვი — 98-ე, მოსკოვის მეორე „სოკოლი" — მე-100, კამენეც-პოდოლსკი — 137-ე, ასტრახანი — 155-ე, პეტერბურგის პირველი „სოკოლი" მეორე ჯგუფი — 191-ე, მოსკოვის პირველი „სოკოლის" მეორე ჯგუფი — 250-ე.

1912 წელს პრაღის საიუბილეო შეკრების შემდეგ ჩამოყალიბდა სლავური სოკოლური კავშირი, რომელშიც შევიდა 1910 წელს შექმნილი რუსული სოკოლური კავშირიც.

რუსული სოკოლური კავშირის შექმნა

1910 წლისთვის რუსეთში 100-ზე მეტი ტანვარჯიშული საზოგადოება არსებობდა, რომელსაც მინიჭებული ჰქონდა „სოკოლის" წოდება. ამ საზოგადოებებისთვის ერთიანი დებულება არ იყო. ყოველი საზოგადოება წესებსა და დებულებას თავად ამუშავებდა და ყველა ცალ-ცალკე არსებობდა. ამიტომ მოსკოვში იმავე წელს მოიწვიეს სრულიად რუსეთის I ყრილობა, რომელმაც ძირითადად ორგანიზაციული საკითხები განიხილა. შეიქმნა რუსი სოკოლების კავშირი. საზოგადოების უფროსად აირჩიეს პეტერბურგის პირველი „სოკოლის" უფროსი ფრანც ერბენი. საზოგადოების წევრობის საკითხი გადასაჭრელი დარჩა და კიდევ დიდხანს იყო ქცეული მსჯელობის საგნად.

სამი წლის შემდეგ, 1913 წელს, 18-20 აპრილს კიევში რუსეთის სოკოლური ორგანიზაციების წარმომადგენლებმა თავი მოიყარეს სრულიად რუსეთის II ყრილობაზე. მთავარი საკითხი იყო რუსეთის სოკოლთა პირველი შეკრების ჩატარება. თბილისის „სოკოლს", რომელმაც ნაყოფიერი მუშაობით და ბოლო ორ სოკოლურ შეკრებაში ბრწყინვალე გამოსვლებით გამოიჩინა თავი, ორი ადგილი მიეცა. საერთო კრების გადაწყვეტილებით, ყრილობაზე გაგზავნეს უფროსი ა. ლუკეში და მისი თანაშემწე გ. ეგნატაშვილი.

II ყრილობას წინ უძღოდა სხვადასხვაგვარი კონკურსები, მათ შორის იარაღებზე საასპარეზო პროგრამისა და საერთო საჩვენებელი გამოსვლების ვარჯიშების შედგენაში. საკონკურსოდ წარდგენილი ვარჯიშების დემონსტრაციის დროს კომისიის წევრებად მიწვეული იყვნენ ლუკეში და ეგნატაშვილიც. ერბენმა წარმოადგინა თავისუფალი ვარჯიშები შეკრების საასპარეზო ნაწილის პროგრამისთვის, რამაც აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია დელეგატთა შორის. შეიქმნა კომისია ლუკეშის ხელმძღვანელობით, რომელსაც უნდა დაემუშავებინა ვარჯიშების საბოლოო ვარიანტი. ეს ვარიანტი დაამტკიცა ტექნიკურმა კომიტეტმა.

იარაღებზე ვარჯიშების გარჩევის დროს ტექნიკურმა კომიტეტმა მიიღო ეგნატაშვილის წინადადება ღერძზე და ორძელზე ზოგიერთი ვარჯიშის შეცვლის შესახებ. ამ ვარჯიშების ახალი ვარიანტი დაამტკიცა კომიტეტმა.

ყველა შეჯიბრებაზე, გარდა საასპარეზო ნაწილისა, ეწყობოდა ათასგვარი საჩვენებელი გამოსვლებიც. იქმნებოდა სპეციალური ვარჯიშები მასობრივი გამოსვლებისთვის. ჩვეულებრივ, ამ გამოსვლებს შეკრების მონაწილე უფროსი სოკოლები აწყობდნენ. თბილისის „სოკოლის" წარმომადგენლებმა წინადადება შეიტანეს შეკრების პროგრამა შეევსოთ ბავშვებისა და საშუალო სასწავლებლების მოსწავლეთა გამოსვლებით. ასე იყო თბილისის „სოკოლში" და ეს მაყურებელს ძალიან მოსწონდა. წინადადება მოიწონეს და მომავალი შეკრების პროგრამაში შეიტანეს.

რუსეთის სოკოლთა შეკრების ჩატარება გადაწყდა პეტერბურგში 1914 წელს. მასში მონაწილეობის უფლება ჰქონდა ქვეყნის ყველა სოკოლურ ორგანიზაციას.

კავკასიაში ტანვარჯიშული საზოგადოება, გარდა თბილისისა, არსებობდა ბაქოშიც. ბაქოს საზოგადოებას „სოკოლის" წოდება მხოლოდ 1913 წელს მიენიჭა. იგი თავიდან ხალხმრავალი არ იყო. ტანვარჯიში იქ ის-ის იყო იდგამდა ფეხს და ამიტომ ბაქო სოკოლურ შეკრებაში მონაწილეობას ვერ მიიღებდა.

1913 წლის 25 დეკემბერს ბაქოს „სოკოლის" მიწვევით იქ ჩავიდნენ თბილისის „სოკოლის" უფროსის თანაშემწე ეგნატაშვილი და ტექნიკური კომიტეტის წევრი მოხოვი, რათა დახმარება გაეწიათ ბაქოელი ტანმოვარჯიშეებისთვის და ხელმძღვანელების ჯგუფისთვის ესწავლებინათ ის ვარჯიშები, რომლებიც დამტკიცდა სრულიად რუსეთის სოკოლების ყრილობაზე 1913 წელს. ბაქოს „სოკოლის" უფროსის ანგარიშში 1913 წლის მუშაობის შესახებ ეს ამბავი ასეა აღწერილი: „ძმა ეგნატაშვილი და ტექნიკური კომიტეტის წევრი ძმა მოხოვი ბაქოში ოთხ დღეს დარჩნენ, ყოველდღიურად ვარჯიშობდნენ ჩვენთან. ვალდებული ვარ გულწრფელი მადლობა გადავუხადო მათ იმ მონდომებისთვის, იმისთვის, რომ დრო არ დაინანეს და შეასრულეს ჩვენი თხოვნა, რომ თავისი ჩამოსვლით დიდი ვაოცოცხლება შემოიტანეს ჩვენს წრეში".

1913 წლის 1 იანვრისთვის თბილისის საზოგადოებაში 70 ნამდვილი წევრი და თითქმის ამდენივე დამსწრე იყო. საზოგადოება მრავალეროვანი იყო. მასში ირიცხებოდა 34 რუსი, 13 სომეხი, 9 ქართველი, 3 ფრანგი, 3 გერმანელი, 3 ებრაელი, 2 ჩეხი, 1 პოლონელი, 1 ფინელი, 1 აზერბაიჯანელი.

რუსეთის საზოგადოებაში ეროვნებას დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა. ერთერთი საკითხი რუსეთის მეორე შეკრებაზე სწორედ საზოგადოების წევრობის საკითხი იყო, რომელიც გადაუჭრელი დარჩა. ერთნი ამტკიცებდნენ საზოგადოების წევრი მხოლოდ სლავიანელი შეიძლება იყოს, სხვების (უმცირესობის) აზრით, საზოგადოების წევრობა შეეძლო რუსეთის ყველა ქვეშევრდომს.

ი. ეგნატაშვილი.

(გაგრძელება იქნება)

გაგრძელება. იხ. „ლელო" №№ 164, 168.

სურათზე: 1912 წ. პრაღა. VI საიუბილეო სრულიად „სოკოლის" მოფრენი. გ. ეგნატაშვილი, III ადგილი პირად შეჯიბრებაში.

● ●

სურათზე: პ. მარლანიძის მიერ 1911-12 წელს დაარსებული პირველი ათლეტიკური ჯგუფი. შუაში ზის პ. მარლანიძე.

ახალი ამბავი-75

● **მიუნხენი, 21 სექტემბერი.** ადგილობრივ ოლიმპიურ სასროლეთზე დამთავრდა მეხტენდურეთა მსოფლიო ჩემპიონატი. საერთო გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვეს საბჭოთა სპორტსმენებმა.

● **ზაპოროჟიე, 22 სექტემბერი.** აქ დასრულდა ხელბურთელ ქალთა გუნდების III ტრადიციული საერთაშორისო შეჯიბრება „სლავუტიჩი". შეჯიბრების ბოლო დღეს მსოფლიო ჩემპიონმა — იუგოსლავიის ნაკრებმა ფრედ (13:13) დაამთავრა შეხვედრა სსრ კავშირის გუნდთან და პირველად მოიხვეჭა ახალგაზრდული გაზეთის „კომსომოლეც ზაპოროჟიას" პრიზი. მან 9 ქულა დააგროვა 10-დან. საბჭოთა ნაკრები II ადგილს დასჯერდა (8 ქულა). III ადგილისთვის მატჩში გდრ-ის ეროვნულმა გუნდმა უნგრელებს სძლია — 19:14. V ადგილზე გავიდა სსრ კავშირის ახალგაზრდული ნაკრები, რომელმაც ბოლოსწინა დღეს ანგარიშით 14:10 დაამარცხა უნგრელები, ხოლო ბოლო დღეს დანიელებს მოუგო — 19:11. VI ადგილი დაიკავა დანიის ნაკრებმა, VII — უნგრეთის ეროვნულმა გუნდმა.

● **ფერგანა, 22 სექტემბერი.** აქ დამთავრდა საკავშირო შეჯიბრება ქალთა შორის ჯგუფურ რბოლა-კრიტერიუმში და ამავე სახეობაში ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატი. ექვსი საშუალო ფინიშით 12 წრეზე (თითოეული — 2 კმ 600 მ) ქალთა რბოლა მოიგო რიგელმა ველოსიპედისტმა ბ. ცაუნემ (სოფლის ნებაყოფლობითი სპორტსაზოგადოებები), რომელმაც 22 ქულა მოაგროვა. უნდა აღინიშნოს, რომ გამარჯვებული ფოტოფინიშმა გამოავლინა. ვაჟთა შორისაც რიგელმა მრბოლელმა აჯობა ყველას — ჩემპიონის სახელი მოიხვეჭა არმიელმა ვ. გალიჩაუსკასმა. მისი შედეგია 64 ქულა.

● *ლენინგრადი, 22 სექტემბერი. კავგოლოვოს ტრამპლინზე გუშინ გაიმართა სსრ კავშირის „მფრინავ მოთხილამურეთა" ზაფხულის პირველი ჩემპიონატი. 60-მეტრიან ხელოვნურსაფარიან ტრამპლინზე საინტერესო ბრძოლა გაჩაღდა. ოქროს მედალი მოიპოვა ა. კარაპუზოვმა (ლენინგრადის ოლქი) — 239,3 ქულა (ნახტომები — 72 და 72 მ). მომდევნო საპრიზო ადგილებზე გავიდნენ ს. სუსლიკოვი (გორკი) — 235,5 (71,5 და 72,5) და ა. ბოროვიტინი (კიროვი) — 235,5 (72,5 და 68,5). ორჭიდელებმა თავიანთი პირველი საკავშირო საზაფხულო შეჯიბრება გასულ შაბათ-კვირას მოაწყვეს. ამ ასპარეზობის საპრიზო სამეული ასეთია: 1. ტ. ტამი (ტალინი) — 435,4 ქულა (215,4 + 220,0); 2. ა. პუშკინი (ლენინგრადი) — 401,75 (196,9 + 204,85); 3. ს. მატვეევი (ლენინგრადის ოლქი) — 398,85 (206,9 + 191,95).*

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფეხბურთი '75

სსრ კავშირის პირველობა

ჩემპიონატის ქრონიკა

22 სექტემბერს მოსკოვში შედგა ჩემპიონატის 23-ე ტურის ბოლო მატჩი ადგილობრივ „დინამოსა" და ოდესის „ჩერნომორეცს" შორის.

გავრილოვის მიერ გატანილმა ერთადერთმა გოლმა გამარჯვება მოუტანა დინამოელებს — 1:0.

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 24 სექტემბრისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დინამო" კ.	23	15	6	2	43—19	36
„ტორპედო"	23	10	7	6	37—26	27
„დინამო" მ.	23	8	10	5	26—21	26
„ზარია"	23	9	8	6	29—27	26
„შახტიორი"	21	10	5	6	30—19	25
„კარპატი"	23	8	9	6	32—25	25
„დნეპრი"	22	9	6	7	28—25	24
„არარატი"	23	10	4	9	31—32	24
„დინამო" თბ.	23	8	6	9	25—26	22
„სპარტაკი"	23	7	8	8	22—24	22
ცსკა	22	6	8	8	24—26	20
„ლოკომოტ."	23	5	10	8	23—25	20
„ჩერნომორ."	23	7	6	10	21—27	20
„ფახთაქორი"	23	7	4	12	23—36	18
„ზენიტი"	23	6	6	11	22—35	18
ასკ	23	3	5	15	17—40	11

1 ოქტომბერს

მომავალი თვის პირველ დღეს მთელი სამყაროს ფეხბურთის მოყვარულები დიდი ინტერესით ელიან. როგორც ცნობილია, იმ დღეს გაიმართება ევროპის ტურნირების განმეორებითი მატჩები.

20 სექტემბრის ნომერში ჩვენ გამოვაქვეყნეთ უეფა-ს თასის გათამაშების ოცდამეთორმეტედფინალის შეხვედრათა შედეგები. ეს მასალა ტელეფონით მივიღეთ მოსკოვიდან და მასში ორი უზუსტობა გაიპარა. დღეს ვასწორებთ მათ:

„ოლიმპიკი" (ლიონი, საფრანგეთი) — „ფკ ბრიუჟი" (ბელგია) 4:3.

„ევერტონი" (ლივერპული, ინგლისი) — „მილანი" (იტალია) 0:0.

53 ათასი აბონემენტი

ყველაზე „საფეხბურთო" ქალაქად იტალიაში ნეაპოლია მიჩნეული. შემთხვევითი როდია, რომ იტალიის ნაკრები ყველაზე საპასუხისმგებლო მატჩებს სწორედ ნეაპოლის სტადიონზე თამაშობს.

ეს სტადიონი 70 ათას მაყურებელს იტევს, მაგრამ იქ მოხვედრა მაინც დიდი პრობლემაა: 53 ათასი ადგილი აბონემენტებითაა გაყიდული.

„ალპების თასი" — „სერვეტს"

„ალპების თასის" მორიგი გათამაშება ჟენევის „სერვეტის" დამაჯერებელი გამარჯვებით დასრულდა. ფინალურ მატჩში მან ანგარიშით 3:0 დაამარცხა „ფკ ბაზელი".

უცხოეთის ფეხბურთის ამბები

მკითხველთა რეპლიკები თბილისის „დინამოს" შესახებ

ფეხბურთის მოყვარულები, ჩვენი გაზეთის მკითხველები, თბილისის „დინამოს" გულშემატკივრები კვლავ და კვლავ შეშფოთებული არიან გუნდის სუსტი თამაშით, იმ ღრმა კრიზისით, რომლისგან თავის დაღწევა საჭიროა უახლოეს ხანებშივე. რედაქციაში მრავლად მოდის წერილები, რომელთა ავტორები გულისტკივილს გამოთქვამენ შექმნილი მდგომარეობის გამო, მოუწოდებენ ჩვენს ფეხბურთელებს ითამაშონ მეტი მონდომებით, ენერგიით და არ დაზოგონ თავი მდგომარეობის გამოსასწორებლად.

ნაკლოვანება მრავალია

თურქეთის „ტრაბზონსპორთან" ამასწინანდელი საერთაშორისო მატჩის შემდეგ გამაოცა ერთ-ერთ გაზეთში გამოთქმულმა მოსაზრებამ, რომ თურქ ფეხბურთელებს თბილისელებმა მარტო ტექნიკა დაუპირისპირესო. ჩემი აზრით, საკმაო ხანია იმ ტკბილ ცდუნებაში ვართ, თითქოს ჩვენი გუნდი მართლაც მაღალტექნიკური იყოს. რატომ დაგვიჩემებია, ვითომ ჩვენი მოთამაშეები მართლაც ასეთი ტექნიკის მფლობელნი არიან, რატომ ვიტყუებთ თავს? რაში გამოიხატება ეს ტექნიკურობა, როცა დინამოელები ვერც კარში ურტყამენ ხეირიანად, ვერც ზუსტად აწვდიან ერთმანეთს და ვერც ბურთს აჩერებენ, როგორც საჭიროა. იქნებ ზოგიერთს მაღალ ტექნიკად ის მიაჩნია, როცა ფეხბურთელი მოატყუებს, ვთქვათ, ორ მეტოქეს და მერე მესამეს ჩააბარებს ბურთს, ან ერთხელ ვადააწვდის სადღაც ბურთს, მერე კი გაჩერებულია და უქმად უყურებს სხვის ცოდვილს?

25 წელზე მეტია თბილისის „დინამოს" ქომაგი ვარ. ეს უფლებას მაძლევს ვთქვა, რომ ჩვენი გუნდი საუკეთესო წლებშიც არ გამოირჩეოდა მაღალი სათამაშო დისციპლინით, მაგრამ არ მახსოვს იგი ისეთ დაბალ დონეზე მდგარიყოს, როგორც ახლა.

ან რით აიხსნება ის აშკარა გულგრილობა, რომელიც თამაშის დროს აწერია სახეზე ბევრ ჩვენს ფეხბურთელს? ვის ებუტებიან ეს დალოცვილები, ვიზე არიან ნაწყენები?

კიევის „დინამოსთან" სსრ კავშირის თასის გათამაშებაში მოგებული მატჩის შემდეგ ზედმეტი გუნდრუკის კმევას შევუდექით ჩვენი ფეხბურთელების მიმართ და უყურადღებოდ დავტოვეთ ის ამბავი, რომ ჩემპიონს აკლდა საუკეთესო მოთამაშეები. შემდეგ კი ყველამ ნახა, თუ როგორ უბრძოლველად ჩავაბარეთ მატჩი ერევნის „არარატს".

ყველაფერს ამას ვამბობ მხოლოდ იმიტომ, რომ საქმეს შველა და გამოსწორება სჭირდება ახლავე, სანამ გვიან არაა.

თ. ეგანოიძე.

სად გაქრა ყველაფერი?

მართლაც, სად გაქრა ყველაფერი კარგი, რითაც თბილისის „დინამო" გამოირჩეოდა ათეული წლების მანძილზე? მისმა ახლანდელმა შემადგენლობამ შეძლო ის, რომ ერთ დროს მოწინავე კოლექტივი აქცია არა საშუალო, არამედ აშკარად სუსტ გუნდად.

აბა, გავიხსენოთ, თითო-ოროლა გამონაკლისის გარდა, რომელი გადამწყვეტი მატჩი მოიგეს დინამოელებმა? საკითხავია, რას გრძნობს გუნდის თითოეული წევრი ასეთ დაბალ დონეზე ჩატარებული მატჩებისა და ამის თაობაზე გამოთქმული კრიტიკული შენიშვნების შემდეგ, ან თუ უკეთებენ ისინი ანალიზს შექმნილ მდგომარეობას?

იქნებ ზოგიერთს აღარ უნდა თამაში? თუ ასეა, ახლავე საჭიროა პერსპექტიული ახალგაზრდების მწყობრში ჩაყენება. მარტო მ. ხურცილავაზე და გ. ნოდიაზე ხომ არ უნდა გავრცელებულიყო „რეპრესიები". მატჩიდან მატჩამდე ვუყურებთ ერთსა და იმავე შემადგენლობას, რომელსაც უკეთესობისა არაფერი ეტყობა და უკან მიაქანებს გუნდს. ცხადია, რომ რეკონსტრუქციას საჭიროებს „დინამოს" დაცვისა და ნახევარდაცვის ხაზები.

ერთხმად გამოვთქვამთ იმ აზრს, რომ, ვისაც არ სურს ყველაფერი შესწიროს გუნდის ინტერესებს, სჯობს ადგილი დაუთმოს მათ, ვინც თავგანწირვით იბრძოლებს კოლექტივის კეთილდღეობისთვის და დაუღალავი შრომით აიმაღლებს სპორტულ ოსტატობას.

ქუთაისელ ფეხბურთის მოყვარულთა ჯგუფი.

ბავშვმაც კი შენიშნა

პატივცემულო რედაქცია! 17 აგვისტოს „ლოკომოტივის" სტადიონზე დავესწარი თბილისის „დინამოს" მატჩს როსტოვის არმიელებთან. ჩემს გვერდით აღმოჩნდა 10 წლის ბიჭუნა, რომელიც საკმარისად ერკვეოდა თამაშში. მატჩის შემდეგ მან მომმართა შეკითხვით, რომელზეც პასუხის გაცემა ვერ შევძელი. აი, რა თქვა 10 წლის ბავშვმა:

— როგორ აპირებენ ჩვენი ფეხბურთელები თამაშის მოგებას, თუ კარში არ დაარტყამენ?

იქნებ თქვენ მოძებნოთ ამ შეკითხვის პასუხი?

მ. ვარაზაშვილი.

ჰოლანდია: როდის დაბრუნდება „ტოტალური"?

ჰოლანდიის ფეხბურთელთა ნაკრების თამაშში მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ ერთგვარი უკან დახევა შეიმჩნევა (სხვათა შორის, ეს ბუნებრივია მსოფლიო პირველობის თითქმის ყველა მონაწილისთვის). როცა ამას აღვნიშნავთ, აუცილებელია „ტიტების ქვეყნის" საკლუბო ფეხბურთსაც გადავხედოთ. თავის დროზე სწორედ ჰოლანდიის კლუბები, პირველ ყოვლისა როტერდამის „ფეიენოორდი" და ამსტერდამის „აიაქსი" იყვნენ „ტოტალურად" წოდებული ფეხბურთის პირველი მერცხლები, რომლებიც ტურნირს ტურნირზე იგებდნენ.

ჰოლანდიის ჩემპიონი თორმეტი წლის შემდეგ კვლავ გახდა „ფშვ ეინდჰოვენი", რომელსაც საბჭოთა ფეხბურთის მოყვარულები კარგად იცნობენ კიევის დინამოელებთან თასების მფლობელთა თასის გათამაშების პროგრამით გამართული მატჩებიდან. კლუბმა, რომელიც ფირმა „ფილიპსს" ეკუთვნის, I ადგილი მოიპოვა ბოლო ტურში, როცა თავის მინდორზე დაამარცხა „ჰააგა" ანგარიშით 3:1.

ფორმალურად „ფშვ ეინდჰოვენი" ჰოლანდიის საკლუბო ფეხბურთის დროშაა. როგორც მიმომხილველები აღნიშნავენ, ახლა „ეს დროშა ქარზე აღარ ფრიალებს, როგორც „აიაქსის" დროს იყო". „ფშვ ეინდჰოვენმა" წარმატებას მიაღწია იმის წყალობით, რომ უდიდესი სურვილი ჰქონდა გამარჯვებისა, რომ ყოველი მატჩისათვის ფსიქოლოგიურად შესაბამისად იყო მომზადებული, მოიპოვა თვითშეწირვის წყალობით, „ფეიენოორდისა" და „აიაქსის" წყალობით, რომლებმაც დაკარგეს „ტოტალური" სახე და, აქედან გამომდინარე, პოზიციები როგორც თვით ჰოლანდიაში, ისე მთელს ევროპაში.

„ფშვ ეინდჰოვენი", უბრალოდ, ძლიერი გუნდია, მაგრამ არა გამორჩეული. მართალია, ჰოლანდიის ამჟამინდელი ნაკრების მწვრთნელი ჟორჟ კნობელი მატჩებზე იწვევს ამ გუნდის თავდამსხმელებს ვილი ვან დერ კერკჰოფს და ვილი ვან დერ კაილენს, რომელიც რონი გეელსის („აიაქსი") შემდეგ II ადგილზეა ჩემპიონატის ბომბარდირთა სიაში (28 ბურთი) და შედეგიანობის ეროვნული რეკორდიც დაამხო (ახლა მის ანგარიშზეა 210 ბურთი. ვან დერ ლინდენს გატანილი აქვს 205 გოლი, გროოტს — 195, კრუიფს — 182).

... იოჰან კრუიფი, რინუს მიჰელსი, სტეფან კოვაჩი, იოჰან ნეესკენსი — სპეციალისტთა აზრით, ამ ოთხეულმა ჰოლანდიურ ფეხბურთს მთელ მსოფლიოში გაუთქვა სახელი. დღეს არც ერთი ჰოლანდიაში არ მუშაობს.

ჯერ კიდევ შარშან მიჰელსი წვრთნიდა ესპანეთის „ბარსელონას", რომლის შემადგენლობაშიც თამაშობდა ორივე იოჰანი. კოვაჩი საფრანგეთის ნაკრებთან მუშაობდა... რა იქნება ამ სეზონში, ჯერ არ ვიცით. კოვაჩს კონტრაქტი უმთავრდება. ამბობენ, რომ კრუიფს და ნეესკენსს სურთ მიხელსს გაჰყვნენო.

მაგრამ საით?

ცნობილმა ამსტერდამელმა იუველირმა, კრუიფის სიმამრმა და პირადმა მრჩეველმა კორნელიუს კოსტერმა უარყო მადრიდის სპორტული ჟურნალის ერთ-ერთ ნომერში დაბეჭდილი ცნობა, რომ კრუიფს განზრახული აქვს „ბარსელონასთან" კონტრაქტი კიდევ ორი წლით გააგრძელოს. კოსტერმა განაცხადა, ჩემი სიძე ჯერ მე მომეთათბირებოდა და მერე მიიღებდა ამგვარ გადაწყვეტილებასო.

კოსტერმა „უსაფუძვლო" უწოდა ცნობას, რომ კრუიფს განზრახული აქვს კონტრაქტი დადოს სხვა უცხოურ კლუბთან მას შემდეგ, რაც „ბარსელონასთან" ხელშეკრულება დაუმთავრდება.

ასეთი „სხვა უცხოური კლუბი" ბევრია: მადრიდის „რეალი", მილანის „ინტერი", ლონდონის „არსენალი", ბრიუსელის „ანდერლეხტი", ნიუ იორკის „კოსმოსი"... ამ ბოლო ხანს გამოჩნდა ცნობა, რომ მიხელსი და კრუიფი გაემგზავრებიან... საუდის არაბეთში, სადაც სურთ რაღაც „საფეხბურთო ცირკის" მსგავსი ჩამოაყალიბონ. ყოველ შემთხვევაში, მიხელსს ასეთი რამ შესთავაზეს. კრუიფი კი, როგორც ცნობილია, მას შემდეგ, რაც იგი, ცამეტი წლის ბიჭი, დედამ „აიაქსში" მიიყვანა, ყველგან მიხელსს დაჰყვება თან.

გამორიცხული არ არის, რომ ლეგენდარული „აიაქსის" „ავტორები" ამსტერდამში დაბრუნდებიან. ჰოლანდიაში მათს დაბრუნებასთან დაკავშირებულია „აიაქსისა" და მთელი ჰოლანდიური ფეხბურთის აღორძინების იმედი. სულ ახლახან „აიაქსმა" გამოაცხადა, რომ მწვრთნელი ჰანს კრააი მოხსნილია თანამდებობიდან „ჰოლანდიის ჩემპიონატსა და ევროპის საკლუბო ტურნირებში გუნდის დაბალი მაჩვენებლებისთვის". კლუბის პრეზიდენტს იააპ ვან პრააგს დიდი კომენტარები არ დაუწყია ამ გადაწყვეტილების თაობაზე, მაგრამ მწვრთნელის პოსტზე სავარაუდო კანდიდატთა შორის მიხელსი დაასახელა.

ამასობაში კრუიფმა და ნეესკენსმა „აიაქსის" სახელით ერთი ამხანაგური მატჩი ჩაატარეს. „აიაქსი" ბელგიაში შეხვდა „ფკ ბრიუჟს", ბელგიელებმა მოიგეს — 3:0 (2:0). ორი ბურთი გაიტანა ლამბერმა, ერთი — ნეესკენსმა. თავის კარში? — არა, მატჩი ტარდებოდა „აიაქსისა" და „ბრიუჟის" ყოფილი ვარსკვლავის ნიკ რაინდერსის პატივსაცემად, რომელმაც ამ სამი წლის წინათ ფეხბურთს თავი დაანება გულის ავადმყოფობის გამო. კრუიფი და ნეესკენსი პირველ ტაიმში „ფკ ბრიუჟის" შემადგენლობაში თამაშობდნენ, მეორეში „აიაქსში" გამოდიოდნენ.

როგორ არის ჰოლანდიის ნაკრების საქმე? თითქმის მსოფლიო ჩემპიონატის დამთავრებისთანავე ვერცხლის პრიზიორები ჩაებნენ შესარჩევ ბრძოლაში კონტინენტის პირველობის მეხუთე ჯგუფში (აქ გამოდიან პოლონეთის, იტალიისა და ფინეთის გუნდებიც. ყველაზე ძლიერი ქვეჯგუფია). ჰოლანდიელებმა ჰელსინკში დაამარცხეს ფინელები — 3:1, ასეთივე ანგარიშით მოუგეს იტალიის ნაკრებს. ამას მოჰყვა ამხანაგური შეხვედრების სერია და ფიასკო ბელგრადში (0:3) იუგოსლავიის ნაკრებთან.

— ჩვენ ბელგრადში ჩამოვედით, რათა სერიოზულ მატჩში შევამოწმოთ ნაკრების რეზერვი და, რასაკვირველია, მოვიგოთ, — ამბობდა მატჩის წინ კნობელი.

— დღეს მოთამაშეთაგან ყველა როდი იმსახურებს ნარინჯისფერი მაისურით მინდორზე გამოსვლის უფლებას, — თქვა მან მატჩის შემდეგ.

ჰოლანდიელთა შემადგენლობა ბელგრადში ზეექსპერიმენტული იყო. მინდორზე გამოვიდა მსოფლიო ჩემპიონატის მხოლოდ სამი მონაწილე: იონგბლადი, რიისბერგენი და ნეესკენსი. კრუიფი „ბარსელონას" ვერ შეუთანხმდა.

ექსპერტების აზრით, ჰოლანდიელებს ბევრი სიძნელე შეხვდებათ კონტინენტის რვა უძლიერეს გუნდს შორის მოხვედრისთვის ბრძოლაში.

ა. გორბუნოვი.
(საკდესის კორ.).

• • •

სურათზე: ი. კრუიფი.

შესაძლოა, ერერაც...

საფრანგეთის ნაკრების ახლანდელმა მწვრთნელმა, ცნობილმა რუმინელმა სპეციალისტმა ს. კოვაჩმა აღარ განაახლა ხელშეკრულება ამ გუნდთან. იანვრიდან იგი რუმინეთის ნაკრებს მოამზადებს მსოფლიო ჩემპიონატისთვის.

საფრანგეთის ნაკრების მწვრთნელის ადგილზე ეროვნული ფედერაცია რამდენიმე კანდიდატს ასახელებს. ესენი არიან ცნობილი ფრანგი სპეციალისტები ლედიუკი, ბატიო, ჰიდალგო და ერბენი. ბოლო მომენტში ელენიო ერერას კანდიდატურაც დაასახელეს.

ყიდიან... სტადიონებს

გფრ-ის კლუბმა „როტ-ვაისმა" (ესენი), რომელიც დიდ გაჭირვებაში ჩავარდა, საკუთარი სტადიონი 4,4 მილიონ მარკად მიჰყიდა ქალაქის ხელისუფლებას. ახლა, როგორც ბერლინის „დი ნოიე ფუსბალვოხე" იუწყება, გფრ-ის ბუნდესლიგაში სულ ორი გუნდი დარჩა, რომლებიც საკუთარ სტადიონზე თამაშობენ. ესენია „აინტრახტი" (ბრაუნშვაიგი) და „ფკ კაიზერსლაუტერნი".

ვინ არის დამნაშავე?

დასასრული

რთველმა გოგონებმა, განსაკუთრებით, გ. კახიძემ და ნ. სამნიძემ. ქედის გუნდი III საპრიზო ადგილზე გავიდა. კალათბურთელებს არც ხელბურთელი გოგონები ჩამორჩნენ. კარგი სპორტული მონაცემები აქვთ ნ. ბარამიძეს, ფ. დიასამიძეს და სხვ.

აქაურ ფიზკულტურელებს უფრო დიდი წარმატებები ექნებოდათ, უფრო მეტი ჩემპიონი და პრიზიორი ეყოლებოდათ, წვრთნისთვის ნორმალური პირობები რომ ჰქონდეთ. რაიონში 13 საშუალო და 15 რვაწლიანი სკოლაა. ამათგან მხოლოდ ექვსს აქვს სპორტული დარბაზი. დანარჩენები შემოდგომის მიწურულს ღია მოედნიდან სასკოლო ოთახებში აგრძელებენ ფიზკულტურულ მეცადინეობას. ვინც თავი გამოიჩინა და ერთგვარ წარმატებას მიაღწია, ისინი ნაკრებ გუნდებში არიან გაერთიანებული და მათთვის სპორტსკოლის დარბაზის კარი ღიაა. მაგრამ რა ქნას უმრავლესობამ, ასობით გოგონამ და ჭაბუკმა, რომლებსაც გულითა და სულით სურთ სპორტში მეცადინეობა?

რაიონის სკოლების ფიზაღზრდის მასწავლებლები მართლაც გამოუვალ მდგომარეობაში არიან.

წონიარისის საშუალო სკოლაში, სადაც 400-მდე ბავშვი სწავლობს, ფიზკულტურასა და სპორტში მეცადინეობა საკლასო ოთახში ტარდებოდა. როცა ფიზაღზრდის გაკვეთილზე პატარა ოთახში 20 და მეტი ბავშვი ერთად მოიყრის თავს, ადვილი წარმოსადგენია, რა ფასი აქვს ასეთ ვარჯიშს. ფიზაღზრდის მასწავლებელმა ნ. თედორაძემ ბევრი იფიქრა, თავი იმტვრია, რომ მის მოწაფეებს რაიმე ფიზიკური ვარჯიში შეესწავლათ და გამოსავალიც ნახა: საკლასო ოთახში ბავშვებს ლეიბი შემოატანინა და აკრობატული ილეთის სწავლებას შეუდგა. 45 წუთში მოსწავლეთა ნახევარმაც ვერ მოასწრო ამ ილეთისთვის გემო გაეგო. დანარჩენები მეთვალყურეთა როლში გამოდიოდნენ...

კომკავშირის რაიკომის თაოსნობით შედგა სპორტული ბაზების მშენებლობის ორწლიანი გეგმა. აქ შეტანილი იყო საცურაო აუზის აგებაც. მაგრამ მის აშენებაზე რატომღაც ზემდგომმა ორგანოებმა უარი თქვეს. ასე რომ, კვლავ მდინარე აჭარისწყალზე მოუხდებათ სპორტის მესვეურებს [illegible] ცურვაში [illegible].

ქედის [illegible] ძალიან უყვართ ფიზკულტურა და სპორტი. საწყენი ის არის, რომ სპორტული ბაზებით ახალგაზრდობის უზრუნველყოფას ნაკლები ყურადღება ექცევა.

ასე რომ არ იყოს, ვინ იცის, რა დიდი ნიჭი იმალება, თუნდაც აი, იმ პატარა ბიჭუნებში, შესვენებაზე სკოლის ღორღიანი ეზო რომ აუვსიათ და რეზინის პატარა ბურთს ჟივილ-ხივილით დასდევენ.

ზ. ჯაფარიძე.
(ჩვენი სპეც. კორ.).

ხულო — ქედა.

რაგბი

უმაღლესი ლიგა

შაბათსა და კვირას გამართული მატჩები ასე დამთავრდა: „ფილი" (მოსკოვი) — „ბურევესტნიკი" (ლენინგრადი) 22:0, „ავტომობილისტი" (მოსკოვი) — სამხედრო-საჰაერო აკადემია (მოსკოვის ოლქი) 7:15, „სპარტაკი" (კიევი) — „ლოკომოტივი" (მოსკოვი) 38:12, „სლავა" (მოსკოვი) — მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტი 6:10.

სსრ კავშირის ჩემპიონატი

● ●

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 23 სექტემბრისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„ფილი"	12	11	0	1	250:79	22
სსა	13	9	0	4	200:107	18
„სლავა"	13	8	0	5	156:130	16
„სპარტაკი"	12	7	0	5	208:134	14
„ავტომობ."	13	6	2	5	134:152	14
„ლოკ." (მ.)	12	6	1	5	110:132	13
„ლოკ." (თბ.)	12	5	1	6	103:96	11
„ივერია"	11	5	0	6	86:115	10
მსი	13	2	0	11	111:237	4
„ბურევესტ."	13	1	0	12	69:185	2

წერილი რედაქციას

რატომ ჩაიშალა მატჩი?

უკვე მერამდენე წელია უმაღლესი ლიგის გუნდების საკავშირო ჩემპიონატში, სადაც ათი კოლექტივი გამოდის, თბილისი ორი გუნდით მონაწილეობს. ეს რეგბის მოყვარულებს ძალიან გვახარებს, მით უმეტეს, რომ წლეულს არც „ლოკომოტივსა" და არც „ივერიას" შარშანდელივით უხეირო მაჩვენებლები არა აქვთ.

ორივე კოლექტივი ამიტომაც შეგვიყვარდა და რეგბის გულშემატკივრები გავხდით: თბილისში გამართული საკავშირო ჩემპიონატის არც ერთი მატჩი არ გაგვიცდენია. წლეულს ჩვენების თამაშით უმეტესად შინ კმაყოფილი ვბრუნდებოდით. წინა წლებში ხშირად იყო შემთხვევა, როცა ჩვენი გუნდების მატჩების დროსა და ადგილს წინასწარ ვერ ვიგებდით. ბიჭები ამას ისევ თამაშის დღეს თუ შეგვატყობინებდნენ. საქმე ისაა, რომ ამა თუ იმ სტადიონზე დანიშნული მატჩი შეხვედრის დღეს რატომღაც სხვა მინდორზე გადაჰქონდათ. წლეულს ამგვარი შემთხვევები შემცირდა, ნაგრამ პირველ წრეში მსგავსი ფაქტები მაინც იყო. უდავოა, საკავშირო ჩემპიონატისადმი ამგვარი დამოკიდებულება სპორტის ამ სახეობის პროპაგანდას არ ემსახურება, თვით სპორტსმენებზე კი უარყოფითად მოქმედებს.

მაგრამ, ის, რაც გუშინწინ მოხდა, ყოველგვარ საზღვრებს სცილდება. ორშაბათს თბილისის „ლოკომოტივის" სტადიონზე მორიგ კალენდარულ მატჩში ჩვენი დედაქალაქის გუნდებს „ივერიას" და „ლოკომოტივს" უნდა ეთამაშათ. როგორც „ლელო" იტყობინებოდა, მატჩი 17 საათზე უნდა დაწყებულიყო. სამწუხაროდ, არც 17 საათზე, არც 18 საათზე და საერთოდ არც იმ დღეს შეხვედრა არ შედგა. ორივე გუნდს სათადარიგო მინდორზე თვალი რამდენიმე წუთით მოვკარით...

რა მოხდა, რატომ ჩაიშალა მატჩი? დიდხანს ამაოდ ველოდით სტადიონის დიქტორის ხმას, რომელიც შეხვედრის ბედს შეგვატყობინებდა.

პატივცემულო რედაქცია, იქნებ თქვენ გვითხრათ მიზეზი? ვიცით, იგი სხვებსაც აინტერესებთ.

ს. რეხვიაშვილი,
ზ. ფარულავა,
ნ. ჭურაძე,
მ. რამიშვილი.

ოთხი ტურის შემდეგ

თბილისის ოფიცერთა სახლის სასახლეში მიმდინარეობს პროფკავშირული საზოგადოებების ქალთა საკავშირო პირადი პირველობა. ჩვენი რესპუბლიკიდან შეჯიბრებაში მონაწილეობენ ყველაზე ახალგაზრდა ოსტატობის კანდიდატი ნ. იოსელიანი და საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი ნ. კახაბრიშვილი.

კენჭისყრის შედეგად მოჭადრაკეები სატურნირო ცხრილში ასე განლაგდნენ: 1. ნ. იოსელიანი (თბილისი, „განთიადი"), 2. გ. გუმილევსკაია (უფა, „ტრუდი"), 3. ვ. დონჩენკო (მოსკოვი, „ზენიტი"), 4. ლ. შავკუნოვა (სვერდლოვსკი), 5. ე. ბელოვა (ლენინგრადი, „სპარტაკი"), 6. რ. პოპივოდა (მოსკოვი, „ბურევესტნიკი"), 7. ა. აკოფიანი (ლენინაკანი, „აშხატანქი"), 8. ლ. ზაიცევა (მოსკოვი, „ტრუდი"), 9. რ. გეგიძე (მოსკოვი, „სპარტაკი"), 10. ც. კახაბრიშვილი (თბილისი, „ბურევესტნიკი"), 11. გ. კაუშილაიტე (ვილნიუსი, „ჟალგირისი"), 12. ს. იგნატჩენკო (ზაპოროჟიე), 13. ტ. ვორონოვა (მოსკოვი, „ტრუდი"), 14. თ. გოლოვეი (მინსკი, „სპარტაკი"), 15. ლ. მულენკო (ზაპოროჟიე, „ავანგარდი"), 16. ლ. კულიკოვა (დნეპროპეტროვსკი, „ბურევესტნიკი").

I ტურში ბელოვამ დაამარცხა იგნატჩენკო, ვორონოვამ — შავკუნოვა, კულიკოვამ — იოსელიანი. ყაიმით დამთავრდა მულენკო — გუმილევსკაიას, პოპივოდა — კაუშილაიტეს, ზაიცევა — გეგიძის, კახაბრიშვილი — აკოფიანის პარტიები. ერთი შეხვედრა გადაიდო.

II ტურში გოლოვეიმ მოუგო შავკუნოვას, აკოფიანმა — კაუშილაიტეს. ყაიმით დამთავრდა კახაბრიშვილ — ზაიცევას, იგნატჩენკო — პოპივოდას და კულიკოვა — გეგიძის შეხვედრები. დანარჩენი პარტიები გადაიდო.

III ტურში მულენკომ დაამარცხა შავკუნოვა, ზაიცევამ — კაუშილაიტე. ყაიმზე შეთანხმდნენ პოპივოდა — ვორონოვა და დონჩენკო — იოსელიანი. დანარჩენი პარტიები გადაიდო.

IV ტურში მულენკომ დაამარცხა ბელოვა, კაუშილაიტემ — გეგიძე. დანარჩენი პარტიები გადაიდო.

ოთხი ტურის შემდეგ დაწინაურდა მულენკო — 2,5 ქულა და 1 გადადებული პარტია. ზაიცევას 2 ქულა და 1 გადადებული პარტია აქვს.

დღეს მოეწყობა შეხვედრები გადადებული პარტიების დასამთავრებლად.

ო. ალხანიშვილი.

ფალავნობისთვის

რუსთავის კულტურისა და დასვენების პარკის საჭიდაო სარბიელზე ჩატარდა ქალაქის აბსოლუტური პირველობა ქართულ ჭიდაობაში. მონაწილენი დაყოფილი იყვნენ სამ წონით კატეგორიად.

65 კგ-მდე წონაში ყველაზე უკეთ იჭიდავა მეტალურგიული ქარხნის ფურცელსაგლინავი საამქროს ზეინკალმა მ. კობერიძემ. მას გადაეცა სპორტკლუბ „ფოლადის" თასი.

75 კგ-მდე წონითი კატეგორიის მოჭიდავეთა შორის ჩემპიონის სახელი მოიხვეჭა ხე-ტყის დამმუშავებელი № 2 კომბინატის მუშამ შ. მაისურაძემ. იგი დაჯილდოვდა „განთიადის" საქალაქო საბჭოს თასით.

ძირითადი პრიზისთვის იბრძოდნენ ზედა წონითი კატეგორიების ფალავნები. აბსოლუტური ჩემპიონის წოდება მოიპოვა ხე-ტყის დამმუშავებელი № 1 კომბინატის მოჭიდავემ ჯ. ჩიხრაძემ. მას გადაეცა ქალაქის სპორტკომიტეტის თასი.

რ. გაბრიძე.
(ჩვენი კორ.).

რუსთავი.

* * *

სურათებზე: რუსთავის აბსოლუტური ჩემპიონი ქართულ ჭიდაობაში ჯ. ჩიხრაძე; 65 კგ-მდე წონით კატეგორიაში გამარჯვებული მ. კობერიძე (მარჯვნივ) ხვდება ი. გოგოლაძეს.

ავტორის ფოტოები.

გუნდურშიც და პირადშიც...

დუშეთის საჭიდაო დარბაზში გაიმართა „კოლმეურნის" ძიუდოისტთა რესპუბლიკური პირად-გუნდური პირველობა, რომელშიც ადგილობრივი სპორტსმენების გარდა მონაწილეობდნენ წითელი წყაროს, გარდაბნის, კასპის, ცხაკაიას, ორჯონიკიძის, მახარაძისა და სოხუმის წარმომადგენლები.

როგორც გუნდურ, ისე პირად პირველობაში საპრიზო ადგილებისთვის ასპარეზობა ძირითადად დუშელ და წითელწყაროელ მოჭიდავეთა შორის გაჩაღდა. შეჯიბრებისთვის უკეთ მომზადებულნი აღმოჩნდნენ მასპინძლები (მწვრთნელი ს. ფეიქრიშვილი). მათ ორი I, ოთხი II და ერთი III ადგილი დაიკავეს.

წითელი წყაროს რაიონის ძიუდოისტებს წილად ხვდათ II ადგილი.

სასიამოვნო სიურპრიზი იყო ცხაკაიელ ძიუდოისტთა კარგი გამოსვლა. ამ გუნდის წევრმა გ. შამათავამ III საპრიზო ადგილი დაიკავა მძიმეწონოსანთა ტურნირში. III ადგილზე გავიდა ცხაკაიას რაიონის გუნდიც.

წონითი კატეგორიების მიხედვით ჩემპიონები გახდნენ: ვ. გელიაშვილი (დუშეთი), ო. შინჯიკაშვილი (გარდაბანი), ა. სინჯარაძე (დუშეთი), ე. ნეკრესელაშვილი, ვ. გუმაშვილი (ორივე — წითელი წყარო).

ზ. ხიანაიძე.

დუშეთი.

ახალი ამბები-75

● **დონის როსტოვი, 22 სექტემბერი.** აქ დამთავრდა სსრ კავშირის თასის გათამაშება თანამედროვე ხუთჭიდში. გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვა „დინამომ" — 39842 ქულა. II ადგილზეა საბჭოთა არმიის ნაკრები (39591), ხოლო III — პროფკავშირთა სპორტსაზოგადოებების კოლექტივი (38860). პირად ჩათვლაში ქულათა საუცხოო ჯამით (5372) I ადგილი დაიკავა არმიელმა ვ. შმელიოვმა. II ადგილი მოიპოვა დინამოელმა ვ. ზადნეპროვსკიმ (5185), III — ასევე დინამოელმა გ. იურასოვმა (5131).

„მფრინავი ბებია"

83 წლის ვაშინგტონელმა ქალმა მარიან ჰარტმა, ანუ „მფრინავმა ბებიამ", როგორც მას ამერიკის შეერთებულ შტატებში ეძახიან, რეკორდი დაამყარა. მან მარტოდმარტომ გადაუფრინა ატლანტის ოკეანეს მსუბუქი ერთძრავიანი თვითმფრინავით, 1961 წელს გამოშვებული „ბიჩკრაფტით" და ირლანდიის აეროპორტ შენონში მშვიდობიანად დაეშვა.

საავიაციო ექსპერტებმა განაცხადეს: მარიანის რეკორდი ისაა, რომ იგი ყველაზე ხნიერი ქალია იმათ შორის, ვისაც კი ოდესმე მარტოდმარტო გადაულახავს ატლანტის ოკეანე და საეჭვოა, რომ ეს მიღწევა ვინმემ გაიმეოროს ან გააუმჯობესოს.

* * *

სურათზე: მარიან ჰარტი თავის თვითმფრინავთან დუბლინში დაშვების შემდეგ.

ბპი — ხაკდესის ტელეფოტო.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

ჩვენი
მისამართი
ტელეფონები

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა.

რედაქციის მისამართი: 380096. თბილისი, ლენინის ქ. № 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო".

ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 93-97-51; პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52; განყოფილებები: მასობრივ-ფიზკულტურული — 93-97-55, სპორტული — 99-56-47, 93-97-53, ფეხბურთის — 99-81-71, 93-97-56, მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის — 93-97-57, ჭადრაკის — 93-97-51, წერილების — 93-97-54; მემანქანეთა ბიურო — 93-97-59; ფოტოლაბორატორია — 93-97-58; გამომშვები — 93-93-81; კორექტორები — 93-97-49.

ИНДЕКС 66448

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14.

უე 12032